3. იმ პირებმა, რომლებსაც შეტანილი აქვთ განცხადება სასწავლებელში მიღების შესახებ, უნდა გაიარონ სავალდებულო სამედიცინო შემოწმება ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური განვითარების დასადგენად, იმის გასარკვევად შეძლებს თუ არა ახალგაზრდა მის მიერ არჩეული პროფესიით მუშაობას.

4. ყოველ ტექნიკურ სასწავლებელში იქმნება მიმღები კომისია შემდეგი შემადგენლობით:

სასწავლებლის დირექტორი—(კომისიის თავმჯდომარე);

დირექტორის მოადგილეები სასწავლო-საწარმოო დარგში და სასწავლო აღმზრდელობით მუშაობაში;

მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის ალკკ რაიკომის (ქალაქკომის), საბაზო საწარმოს ადმინისტრაციის, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდების მიღებას პროფესიულ-ტექნიკური სწავლების ცალკეულ ჯგუფებში აწარმოებს ამავე სასწავლებლის მიმღები კომისია.

5. ყოველი ტექნიკური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი მოსწავლეთა მიღების პერიოდში აცხადებს თუ რომელ პროფესიებზე და სპეციალობებზე აწარმოებს ახალგაზრდების მიღებას, მიუთითებს სწავლების ვადებს, თითოეულ პროფესიასა და სპეციალობაზე მიღების პირობებს,

სქესსა და ასაკს. აგრეთვე, მოსწავლეთა მატერიალური უზრუნველყოფის პირობებსა და შეღავათებს.

**ჩარიცხვის წესი**

6. განცხადებებს სასწავლებელში მიღების შესახებ ყველა თანდართული საბუთითა და სამედიცინო კომისიის დასკვნით განიხილავს მიმღები კომისია.

მიმღები კომისია აწყობს საუბარს ყველა განმცხადებელთან პროფესიის არჩევის, წარმოებაში მუშაობისა და სასწავლებელში სწავლების პირობების თაობაზე.

7. **სასწავლებელში ახალგაზრდების მიღება წარმოებს საკონკურსო შერჩევით, საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატში აღნიშნული შეფასების საფუძველზე, ხოლო კონკურსის შემთხვევაში—გასაუბრების გზით.**

იმ პროფესიებში მოსამზადებლად, რომლებიც **საშუალო სკოლის ამა თუ იმ საგნის მყარ ცოდნას** მოითხოვს, პროფტექნიკური განათლების ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებით ტარდება მოსწავლეების გამოცდა ან გასაუბრება. ასე მაგალითად:

მოსწავლეთა მიღებისას სამხატვრო დარგზე ტალღება გამოცდა ხატვაში, ხოლო პოლიგრაფიული წარმოებისათვის ასოთამწყობთა მოსამზადებლად მშობლიურ ან რუსულ ენაში.

ტექნიკურ სასწავლებელში, ან პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ცალკეულ ჯგუფებში ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭებათ ობლებს, საბავშვო სახლებში აღზრდილებს, I და II ჯგუფის ინვალიდთა შვილებს, საბჭოთა არმიიდან და ფლოტიდან დემობილიზებულებს, ახალგაზრდებს, რომლებიც მივლინებულნი არიან საწარმოების, მშენებლობის, კოლმეურნეობისა და სხვა ორგანიზაციების მიერ.

8. მიმღები კომისიის გადაწყვეტილება სასწავლებლებში ჩარიცხვის შესახებ ფორმდება მიმღები კომისიის ოქმითა და დირექტორის ბრძანებით.

მეცადინეობის დაწყებამდე 7 დღით ადრე გამოკრული უნდა იქნეს სასწავლებელში ჩარიცხულ მოსწავლეთა სია. იმ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ სხვა ქალაქებსა და რაიონებში სასწავლო წლის დაწყებამდე ეგზავნებათ წერილობითი შეტყობინება სასწავლებელში ჩარიცხვის ან უარის თქმის შესახებ.

9. ის პირები, რომლებიც ჩარიცხული არიან ტექნიკურ სასწავლებელში და 10 დღის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით გააცდენენ მეცადინეობას, სასწავლებლის დირექტორის ბრძანებით გაირიცხებიან.

10. იმ პირებს, რომლებსაც შეტანილი აქვთ განცხადება მიღების შესახებ, მაგრამ ტექნიკურ სასწავლებელში მიღებაზე უარი ეთქვათ, საბუთები უბრუნდებათ მიმღები კომისიის გადაწყვეტილებით არა უგვიანეს ხუთი დღისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სასწავლებელში ახალგაზრდების მიღების საკითხთან დაკავშირებულ საჩივრებს ორი კვირის განმავლობაში იხილავს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი.

### სწავლების პირობები

11. ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლება უფასოა, მოსწავლეებს რომლებსაც კარგი აკადემიური მოსწრება აქვთ, ეძლევათ სტიპენდია თვეში 30-დან 37 მანეთამდე სასწავლებლის საბაზო წარმოების დარგის მიხედვით.

ახალგაზრდებს, რომლებსაც ყველა საგანში აქვთ შეფასება „ფრიადი", 25%-ით უდიდდებათ

სტიპენდიის ოდენობა. გარდა ამისა, მოსწავლეებს ეძლევა ფულადი ანაზღაურება იმ სამუშაოებისათვის, რომლებსაც ისინი ასრულებენ სწავლების პროცესში საბაზო საწარმოსა და სასწავლებლის სახელოსნოებში.

ტექნიკურ სასწავლებლებში მიღებული საბავშვო სახლებში აღზრდილები, უდედმამო ბავშვები და სამამულო ომის I და II ჯგუფის ინვალიდთა შვილები დადგენილი ნორმის მიხედვით უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო კვებით, ტანსაცმლით და სპეცტანსაცმლით.

ტექნიკურ სასწავლებლებში ან სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლების ცალკეულ ჯგუფებში მიღებული ახალგაზრდები, რომლებსაც საშუალო განათლება აქვთ და ისწავლიან სოფლის მეურნეობის სპეციალობით, უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით, სტიპენდიითა და სპეცტანსაცმლით, სოფლის პროფტექნიკურ სასწავლებლებში მოსწავლეთათვის დადგენილი ნორმების მიხედვით.

რაიონიდან ჩამოსული მოსწავლეები საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

12. საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზე-

ბული სასწავლებლებში მიიღებიან სწავლების შემოკლებული ვადით და სწავლების პერიოდში **მიეცემათ სტიპენდია I თანრიგის მუშის სატარიფო** განაკვეთის ოდენობით. სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგის მუშისათვის დადგენილი წესის მიხედვით, მოსწავლეთა მატერიალური უზრუნველყოფის მოქმედი პირობების (სტიპენდიის, უფასო კვებისა და ტანსაცმლის) ნაცვლად.

სასწავლებლებში, სადაც ამზადებენ მექანიზატორებს სოფლის მეურნეობისათვის, სტიპენდია მიეცემათ II თანრიგის ტრაქტორისტ-მემანქანის დღიური სატარიფო განაკვეთის ოდენობით (ნაცვლად უფასო კვებით, სპეცტანსაცმლითა და სტიპენდიით საერთო საფუძველზე **ანაზღაურებისა).**

13. ტექნიკურ სასწავლებელში სწავლების დრო ითვლება **უწყვეტ მუშაობის სტაჟად.**

სწავლის დამთავრებისა და გამოსაშვები გამოცდების ჩაბარების შემდეგ, მოსწავლეებს ენიჭებათ კვალიფიკაცია და ეძლევათ შესაბამისი ატესტატი.

ყველა მოსწავლე სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უზრუნველყოფილი იქნება სამუშაოთი მიღებული სპეციალობის მიხედვით, საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში და

სხვა ორგანიზაციებში პროფესიულ-ტექნიკური განათლების ადგილობრივი ორგანოების მივლინებით.

ის პირები, რომლებიც „ფრიადზე“ დაამთავრებენ ტექნიკურ სასწავლებელს, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ცალკეულ ჯგუფებს. ექნებათ სრული საშუალო განათლება და იმუშავებენ თავიანთი სპეციალობის მიხედვით, უმაღლეს სასწავლებლებში მონათესავე სპეციალობაზე წარმოებიდან მოუწყვეტლივ სწავლებისათვის კონკურსის გარეშე ჩაირიცხებიან მისაღებ გამოცდებზე დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში წარმოებიდან მოწყვეტით სასწავლებლად მიიღებიან ზემოაღნიშნული პირები საერთო წესის საფუძველზე სავალდებულო სამუშაო სტაჟის გარეშე.

## თბილისის № 26 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: ხელით შედუღების ელექტროშემდუღებლებს; ხარატებს; მექანიკურ-სააწყობო სამუშაოთა ზეინკლებს; განათების ქსელისა და ელექტრომოწყობილობათა ელექტრომემონტაჟეებს; მღებავებს; შემლესავ მომპირკეთებელ მეფილეებს; ზეინკალ-სანტექნიკოსებს; კრანის მემანქანეებს; ელექტრომანქანების შემკეთებელ ელექტრო-ზეინკლებს; მეტროპოლიტენის გვირაბგამყვანებს.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

სასწავლებელს აქვს საერთო საცხოვრებელი.

მისამართი: ქ. თბილისი, ავჭალის გზატკეცილი № 72-ბ.

ტელეფონი: 66-42-02; 66-45-80; 66-61-39.

## თბილისის № 27 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: ფეხსაცმლის ზედაპირის დამამზადებლებს; ფეხსაცმლის საძირე დეტალის მიმმაგრებლებს; ფეხსაცმლის გადამჭიმავებს ფეხსაცმლის საძირე დეტალების მიმმაგრებლის კვალიფიკაციით; ფეხსაცმლის გამომჭრელებს; ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების კონტროლიორებს; ზეინკალ-შემკეთებლებს (ფეხსაცმლის წარმოების); ფეხსაცმელების მღარავებს მოპირკეთების ცოდნით.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

მისამართი: ქ. თბილისი, ბ. ხმელნიცკის ქ. № 6.
ტელეფონი: 74-34-67.

## ვალეს № 29 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: **ელექტრომოწყობილობების შემკეთებელ ზეინკალ-ელექტრიკოსებს (საყოფაცხოვრებო მანქანებისა და ხელსაწყოების); მკერავებს (მამაკაცისა და ბავშვის ზედა ტანსაცმლის); მკერავებს (ქალისა და ბავშვის ზედა ტანსაცმლის).**

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1-2 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე.

სასწავლებელს აქვს საერთო საცხოვრებელი.

მისამართი: ქ. ვალე, სტალინის ქ. № 18ა.

ტელეფონი: 4-17, 4-31, 4-60.

## ლენინური კომკავშირის სახელობის თბილისის № 31 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: ვაგონის გამსინჯველ-შემკეთებლებს; ელმავლის მემანქანის თანაშემწეებს; მოძრავი შემადგენლობის შემკეთებელ-ზეინკლებს; საკონტაქტო ქსელის ელექტრომონტიორებს; სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტროშემკეთებლებს; ხელით შედუღების ელექტროშემდუღებლებს; სადგურის მორიგეებს; სამგზავრო მატარებლის გამცილებლებს; ზეინკალ-შემკეთებლებს.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1— 1,5 წელია.

სწავლა წარმოებს რუსულ და ქართულ ენებზე.

სასწავლებელს აქვს საერთო საცხოვრებელი.

მისამართი: ქ. თბილისი, ოქტომბრის ქ. № 134.

ტელეფონი: 66-79-62; 66-79-87; 66-79-93.

## თბილისის № 32 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: მექანიკურ საამწყობო სამუშაოთა ზეინკლებს; ხელით შედუღების ელექტროშემდუღებლებს; ელმავლის, ელექტრომატარებლის მოწყობილობათა შემკეთებელ ზეინკალ-ელექტრიკოსებს; ხარატებს; დურგლებს;

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

მისამართი: ქ. თბილისი, ახალქალაქის ქ. № 2.

ტელეფონი: 99-42-32.

## ქუთაისის № 33 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: ხარატებს; საზომი ხელსაწყოების და ავტომატიკის ზეინკალ-შემკეთებლებს; ელექტრული მანქანების შემკეთებელ ელექტროზეინკლებს; ელექტრომოწყობილობათა მომსახურებისა და შეკეთების ელექტრომონტიორებს; ზეინკალ-შემკეთებლებს; მექანიკური სამუშაოების ამწყობ ზეინკლებს; კავშირგაბმულობის ოპერატორებს; სადგურის მოწყობილობათა ელექტროშემკეთებელ დურგლებს.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1-2 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ ენაზე.

მისამართი: ქ. ქუთაისი, შევჩენკოს ქ. № 12.

ტელეფონი: 6-40-47; 6-32-20; 6-32-05.

## თბილისის № 34 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: **ხელით ასოთამწყობებს; სტრიქონ-ჩამომსხმელი მანქანებით ამწყობებს (ლინოტიპის-ტებს); მაღალი ბეჭდვის მბეჭდავებს; ოფსეტური ბეჭდვის მბეჭდავებს; მკინძავებს.**

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1-2 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ ენაზე.

მისამართი: ქ. თბილისი, კამოს ქ. № 68.

ტელეფონი: 95-34-24.

## თბილისის № 35 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: **მამაკაცისა და ბავშვის კოსტუმის მკერავებს.**

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ ენაზე.

მისამართი: ქ. თბილისი, კალინინის ქ. № 60.

ტელეფონი: 96-62-38; 95-26-66.

## საბჭოთა კავშირის გმირის ჭ. უ. ბენდელიანის სახელობის თბილისის № 38 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: მექანიკურ სამუშაოთა ამწყობ ზეინკლებს; რადიოაპარატურისა და მოწყობილობათა მემონტაჟეებს; მღარავებს, ზეინკალ-შემკეთებლებს; ელექტრომოწყობილობათა მომსახურეობის ელექტრომონტიორებს; მერევოლვერე-ხარატებს; ხელით ყალიბის მეყალიბეებს.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

სასწავლებელს აქვს საერთო საცხოვრებელი.

მისამართი: ქ. თბილისი, II კომკავშირის ქ. № 22

ტელეფონი: 72-22-91; 74-08-24; 74-08-53.

## თბილისის № 41 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: ყველის მკეთებელ ოსტატებს; ძეხვის შემბრაწავ, მხარშავ და შემბოლავებს; ცხოველების ტანხორცის გადამმუშავებლებს; ხორცის დამრბილებლებს; ცხიმების რაფინაციის დეზოდორატორებს; მაცივარ-დანადგარების მემან-ქანეებს; ტყავ-ნედლეულის გადამმუშავებლებს; ორმანო-თერაპიული პრეპარატების მეაპარატეებს.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

მისამართი: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №19.

ტელეფონი: 71-11-50

## ქუთაისის № 42 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: **ქალისა და ბავშვის მსუბუქი კაბის მკერავებს**

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ ენაზე.

სასწავლებელს აქვს საერთო საცხოვრებელი.

მისამართი: ქ. ქუთაისი, კოსმონავტების ქ. № 65.

ტელეფონი: 6-87-11.

## თბილისის № 43 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: **მკერავ-მოტორისტებს; რთული ასორტიმენტის მკერავ-მოტორისტებს.**

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

მისამართი: ქ. თბილისი, ხუთწლედის ქ. № 65.

## საბერიოს № 46 ტექნიკური სასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: მეარმატურე-მებეტონეებს; კონსტრუქციების კალატოზ-მემონტაჟეებს; მეარმატურე-ელექტროშემდუღებლებს; ხუროებს; ბულდოზერის, სკრეპერისა და გრეიდერის მემანქანეებს; საჰაერო ხაზების, მაღალი ძაბვისა და კონტაქტური ქსელის ელექტრომონტიორებს.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ ენაზე.

სასწავლებელს აქვს საერთო საცხოვრებელი.

მისამართი: გალის რაიონი, დ. საბერიო.

## თბილისის № 49 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: ზეინკალ - ელექტრო-მემონტაჟეებს; ხარატებს; რადიოაპარატურის და მოწყობილობათა მემონტაჟეებს; მჭრელი და საზომი იარაღების ზეინკალ-მეიარაღეებს; მტვიფრავებს;

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

სასწავლებელს აქვს საერთო საცხოვრებელი.

მისამართი: ქ. თბილისი, გორგასალის ქუჩა № 115.

ტელეფონი: 72-11-83.

## საბჭოთა კავშირის გმირის
## გ. ი. ბილანიშვილის სახელობის თბილისის
## № 51 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: **პლასტმასის ნაკეთობათა მწნეხავებს; ზეინკალ-შემკეთებლებს; ელექტროდანადგარების მომსახურე ელექტრო-შემკეთებლებს; მონტიორებს.**

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

მისამართი: ქ. თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 5

ტელეფონი: 66-18-29; 66-95-18; 66-95-68.

## სოხუმის № 58 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: კონსტრუქციების კალატოზ-მემონტაჟეებს; შემლესავ-მომპირკეთებელ-მეფილეებს; მექანიკურ საამწყობო სამუშაოების ზეინკლებს; ზეინკალ-ელმემონტაჟეებს.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

სასწავლებელს აქვს საერთო საცხოვრებელი.

მისამართი: ქ. სოხუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. № 7.

ტელეფონი: 2-71-63.

## თბილისის № 60 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: ზეინკალ-ელექტრომემონტაჟეებს; ხარატებს; მღარავებს; მექანიკურ საამწყობო სამუშაოების ზეინკლებს; ელექტროსამონტაჟო სამუშაოების კონტროლიორებს; განათების, განათებისა და ძალოვანი ქსელის და ელექტრომოწყობილობათა ელექტრომემონტაჟეებს; მტვიფრავებს; ცივად მტვიფრავ დანადგარების გამმართველებს; საერთო დანიშნულების ხელსაწყოებისა და სამონტაჟო სამუშაოების ზეინკალ-მემონტაჟეებს; ზეინკალ-სანტექნიკოსებს; ელექტრომოწყობილობის შეკეთებისა და მომსახურეობის ელექტრომონტიორებს.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

მისამართი: ქ. თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. №2.

ტელეფონი: 66-72-59; 66-71-39.

# თბილისის № 65 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: **ქალაქის სატელეფონო ქსელის სადგურის მოწყობილობების ელმონტიორებს; მრჩილავ-მეკაბელეებს; საერთაშორისო სატელეფონო კავშირის ტელეფონისტებს; კავშირგაბმულობის ოპერატორებს; ტელეგრაფისტებს სოფლის სატელეფონო კავშირგაბმულობის და რადიოფიკაციის ხაზურ ნაგებობათა სააბონენტო მოწყობილობათა ელექტრომონტიორებს.**

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

მისამართი: ქ. თბილისი, ბოვრეთის ქ. № 8.

ტელეფონი: 72-44-44; 72-35-35: 72-45-85.

# თბილისის №74 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: **რადიოსატელევიზიო აპარატურის მომსახურეობისა და შეკეთების რადიომექანიკოსებს; მამაკაცისა და ბავშვის ზედა ტანსაცმლის მკერავებს; ქალისა და ბავშვის ზედა ტანსაცმლის მკერავებს; საყოფაცხოვრებო მანქანებისა და ხელსაწყოების ელექტროდანადგარების შემკეთებელ ზეინკალ-ელექტრიკოსებს; ავტომობილების შემკეთებელ ზეინკლებს მოტოციკლეტების, მოტოროლერების და მოპედების შემკეთებლის ცოდნით.**

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1-2 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

სასწავლებელს აქვს საერთო საცხოვრებელი.

მისამართი: ქ. თბილისი, ჰიჰინაძის ქ. №10.

ტელეფონი: 71-21-20; 71-11-83; 71-15-66.

## ბათუმის № 76 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: **რადიო-სატელევიზიო აპარატურის მომსახურებისა და შეკეთების რადიო-მექანიკოსებს; ავტომობილების ზეინკალ-შემკეთებლებს; მამაკაცისა და ბავშვის ზედა ტანსაცმლის მკერავებს; ქალისა და ბავშვის მსუბუქი კაბის მკერავებს; სამრეწველო თვითმომსახურებისა და მაღაზიის მოლარე-კონტროლიორებს; მიმტანებს; ფოტოგრაფებს; სამრეწველო საქონლის გამყიდველებს; სასურსათო საქონლის გამყიდველებს.**

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1-2 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

მისამართი: ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. № 84.

ტელეფონი: 61-60.

## ცხინვალის № 78 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: **მღებავებს; სამონტაჟო კონსტრუქციის კალატოზებს; მეარმატურე ელექტრო-შემდუღებლებს; ზეინკალ-სანტექნიკოსებს; შემლესველებს.**

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია

სწავლა წარმოებს რუსულ ენაზე.

მისამართი: ცხინვალი, გმირთა ქ. № 35.

ტელეფონი: 34-51.

## თბილისის № 79 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: **მიკროსქემის ამწყობებს;** ვაკუუმური **ქლიბვის პროცესის ოპერატორებს;** პრეციზიონური **ფოტოლიტოგრაფიის ოპერატორებს;** **რადიოდეტალების ოპერატორებს; რადიოდეტალების ელექტრონული პარამეტრების მზომავებს.**

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1-2 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ ენაზე.

მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მასივი. „გამწვანების მშენებლობის" ტერიტორია.

ტელეფონი: 51-06-05.

## სართიჭალის № 85 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: ფართო პროფილის ტრაქტორისტ-მემანქანეებს; მე-2 კლასის მეცხოველეობის ფერმის ოსტატებს მეფრინველეობის დარგში; ექსკავატორის მემანქანეებს; ტრაქტორების, ავტომანქანებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემკეთებელ ზეინკლებს; ქიმიო-ბაქტეროლოგიური ანალიზის ლაბორანტებს.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

მისამართი: გარდაბნის რაიონი, დ. სართიჭალა.

## რუსთავის № 86 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: მამაკაცისა და ბავშვის ზედა ტანსაცმლის მკერავებს, საყოფაცხოვრებო მანქანების და ხელსაწყოების ელექტროდანადგარების შემკეთებელ ზეინკალ-ელექტრიკოსებს; მამაკაცის პარიკმახერებს; მსუბუქი ავტომანქანების შემკეთებელ ზეინკლებს მოტოციკლეტების, მოტოროლერებისა და მოპედების შეკეთების ცოდნით. ქალისა და ბავშვის მსუბუქი კაბების მკერავებს.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1-2 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

სასწავლებელს აქვს საერთო საცხოვრებელი.

მისამართი: ქ. რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქ. № 3.

ტელეფონი: 12-14-82; 12-24-83; 12-24-84.

## თერჯოლის № 87 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: ბულდოზერის, სკრეპერისა და გრეიდერის მემანქანეებს; ფართო პროფილის ტრაქტორისტ მემანქანეებს; ექსკავატორის მემანქანეებს; ხელით ელექტროშემდუღებლებს; ქვის მხატვრულად დამუშავების ოსტატებს, საკონტაქტო ქსელის მაღალი ძაბვის საჰაერო ხაზის მონტაჟის მონტიორებს; მლესავ - მომპირკეთებელ - მეფილეებს; ფერმწერებს.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ ენაზე.

სასწავლებელს აქვს საერთო საცხოვრებელი.

მისამართი: თერჯოლის რაიონი სოფ. ნახშირღელე.

# ქობულეთის № 10 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: **ზეინკალ-სანტექნიკოსებს; სამრეწველო საქონლის გამყიდველებს; სასურსათო საქონლის გამყიდველებს; მაცივრების დანადგარების მომსახურეობისა და შეკეთების მექანიკოსებს; მზარეულებს; მიმტანებს უცხო ენების ცოდნით.**

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1-2 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

მისამართი: ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154.

## კულაშის № 92 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: **რთული ასორტიმენტის ქსოვილის მქსოველებს.**

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ ენაზე.

მისამართი: სამტრედიის რაიონი, სოფელი კულაში.

ტელეფონი: 4-90; 4-82.

## ჩოხატაურის № 93 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორებს ელექტრომონტიორის კვალიფიკაციით; ტრაქტორების, ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ზეინკალ-შემკეთებლებს; მესამე კლასის ტრაქტორისტ-მემანქანეებს; ფართო პროფილის ტრაქტორისტ-მემანქანეებს; სოფლის ელექტროფიკაციისა და კავშირგაბმულობის ელექტრომონტიორებს.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ ენაზე.

სასწავლებელს აქვს საერთო საცხოვრებელი.

მისამართი: ჩოხატაურის რაიონი, სოფელი ქვემო ერკეთი.

ტელეფონი: 1-42.

## რუსთავის № 94 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: მარტენის ღუმელის მეფოლადის ხელშემწყობებს; ბრძმედის ღუმელის მექურეებს; ელექტროშემკეთებელ ზეინკლებს; მეტალურგიული მრეწველობის ხიდური ამწის მემანქანეებს; ცხლადმგლინავი დგანის მვალცავებს; შავი ლითონების წარმოების კონტროლიორებს; მილების ცხლად მგლინავი დგანის მვალცავებს; მილების ცივად მგლინავი დგანის მვალცავებს.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

სასწავლებელს აქვს საერთო საცხოვრებელი.

მისამართი: ქ. რუსთავი. ტაშკენტის ქ. № 3

ტელეფონი: 12-69-83; 12-69-96; 12-69-90.

## წულუკიძის № 96 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: **მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორებს ელექტრომონტიორის კვალიფიკაციით; მე-3 კლასის ტრაქტორისტ-მემანქანეებს; ექსკავატორის მემანქანეებს; სოფლის ელექტრომონტიორებს; ხილ-ბოსტნეულის ოსტატებს; ავტომანქანების მძღოლებს ზეინკლის კვალიფიკაციით.**

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ ენაზე.

სასწავლებელს აქვს სართო საცხოვრებელი.

მისამართი: ქ. წულუკიძე, ლენინის ქ. № 55.

ტელეფონი: 22-97.

# თბილისის № 97 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: **ზეინკალ-ელექტრომემონტაჟეებს; ზეინკალ-შემკეთებლებს; მექანიკური სამუშაოების ამწყობ ზეინკლებს; ელექტროდანადგარების მომსახურების ელექტრო-მონტიორებს; მეგალვანეებს.**

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

მისამართი: ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. № 3.

ტელეფონი: კომუტატორი 31-25-21 დამ. 84.

# წალკის № 98 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: ფართო პროფილის ტრაქტორისტ-მემანქანეებს; კარტოფილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელ ოსტატებს; ბულდოზერის, გრეიდერისა და სკრეპერის მემანქანეებს; მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორებს ელექტრომონტიორის კვალიფიკაციით; მე-3 კლასის ტრაქტორისტ-მემანქანეებს; შემლესველ - მომპირკეთებელ-მეფილეებს; კალატოზებს.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

მისამართი: დაბა წალკა.

## რუსთავის № 104 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: ქიმიური წარმოების ფართო პროფილის მეაპარატეებს; ელექტრომოწყობილობის შემკეთებელ-ზეინკლებს; ელექტროაირშემდუღებლებს; გაწელვისა და გრეხვის ოპერატორებს.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

სასწავლებელს აქვს საერთო საცხოვრებელი.

მისამართი: ქ. რუსთავი, ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ტერიტორია.

## ბათუმის № 105 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: **ბულდოზერის, გრეიდერის, სკრეპერის მემანქანეებს; ზეინკალ-სანტექნიკოსებს; მეარმატურე - ელექტროშემდუღებლებს; პარკეტის დამგებლებს; სამონტაჟო კონსტრუქციების კალატოზებს; შემლესავ-მომპირკეთებელ-მეფილეებს; დურგლებს.**

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

სასწავლებელს აქვს საერთო საცხოვრებელი.

მისამართი: ქ. ბათუმი, გ. ლეონიძის ქ. № 2.

## ხიდისთავის № 106 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: ფართო პროფილის ტრაქტორისტ-მემანქანეებს; ტრაქტორების, ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ზეინკალ-შემკეთებლებს; მე-3 კლასის ტრაქტორისტ-მემანქანეებს; მე-3 კლასის ავტომძღოლებს; მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორებს ელექტრომონტიორის კვალიფიკაციით.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1-2 წელია.

სწავლება წარმოებს ქართულ ენაზე.

სასწავლებელს აქვს საერთო საცხოვრებელი.

მისამართი: გორის რაიონი, სოფ. ხიდისთავი.

## თბილისის № 108 ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: ელექტრომემონტაჟეებს; კონსტრუქციის კალატოზ-მემონტაჟეებს; ზეინკალ-სანტექნიკოსებს; მღებავებს (სამშენებლო); შემდუღებელ-მომპირკეთებელ-მეფილეებს.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

სასწავლებელს აქვს საერთო საცხოვრებელი.

მისამართი: ქ. თბილისი, გლდანის დასახლება.

# პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები

## ქალაქისა და სოფლის დღისა და საღამოს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მიღების პირობები

1. ქალაქისა და სოფლის დღის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მიიღებიან ქალიშვილები და ჭაბუკები, რომელთაც შეუსრულდათ 15 წელი და აქვთ 8 კლასის განათლება.

მავნე და მძიმე სამუშაოებთან დაკავშირებული პროფესიების შესწავლისას მხედველობაში მიიღება კანონით დადგენილი შრომითი შეღავათები სქესის, ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ის პირები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლის ცხრა კლასი, მიიღებიან რვაწლიან განათლების მოსწავლეებით დაკომპლექტებულ ჯგუფებში.

საღამოს (ცვლიან) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან არსებულ საღამოს (ცვლიან) განყოფილებებზე (ჯგუფებში) ასაკის განურჩევლად მიიღებიან ის მუშები, მოსამსახურეები და კოლმეურნეები, რომლებსაც მიავლენენ საწარმოები,

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა ორგანიზაციები.

ახალგაზრდები, რომლებიც სასწავლებლად შედიან საღამოს (ცვლიან) ჯგუფებში უნდა ჰქონდეთ შესაბამისი განათლება, რომელიც აუცილებელია არჩეული პროფესიის (სპეციალობის) დაუფლების ან კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

**მიღების წესი**

2. დღის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში შესვლის მსურველებს მიღების შესახებ განცხადება შეაქვთ სასწავლებლის დირექტორის სახელზე არჩეული პროფესიის ან სპეციალობის აღნიშვნით.

განცხადებას თან ერთვის შემდეგი საბუთები:

რვაწლიანი სკოლის დამთავრების მოწმობა ან ცნობა საშუალო სკოლის მე-10 კლასში გადაყვანის შესახებ.

ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.

ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

სამი ფოტოსურათი (ზომით 3X4 სმ).

საწარმოს, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის ან სხვა ორგანიზაციის მიმართვა (იმ პირთათ-

ვის, რომლებიც მივლინებულნი არიან პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში).

სასწავლებელში შემსვლელებმა უნდა წარადგინონ დაბადების მოწმობა და პასპორტი, მისაწერი მოწმობა (წვევამდელი ასაკის პირებმა) ან სამხედრო ბილეთი (თადარიგის სამხედრო ვალდებულებმა, შესაბამისად, კეთდება სათანადო აღნიშვნები მისაღების პირად საქმეში).

იმ პირებმა, რომლებიც შედიან საღამოს (ცვლიან) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ან დღის პროფტექნიკურ სასწავლებლებთან არსებულ საღამოს (ცვლიან) განყოფილებებზე, განცხადებას სხვა საბუთებთან ერთად უნდა დაურთონ საწარმოს, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის ან სხვა ორგანიზაციის მიმართვა.

3. იმ პირებმა, რომლებსაც შეაქვთ განცხადება დღის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში მიღების შესახებ, უნდა გაიარონ სავალდებულო სამედიცინო შემოწმება ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური განვითარების დასადგენად, იმის გამოსარკვევად, შეძლებს თუ არა არჩეული პროფესიით მუშაობას.

**4. პროფესიების მიხედვით კონტინგენტის სწორად შერჩევისა და მიღების უზრუნველსაყოფად პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში იქმნება მიმღები კომისია შემდეგი შემადგენლობით.**

**დღის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.**

სასწავლებლის დირექტორი—მიმღები კომისიის თავმჯდომარე;

სასწავლებლის დირექტორის მოადგილეები სასწავლო-საწარმოო და სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში;

მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს წარმომადგენელი;

ალკკ რაიკომის (ქალაქკომის) წარმომადგენელი;

საბაზო საწარმოს ადმინისტრაციის, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

**საღამოს (ცვლიან) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში და დღის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან არსებულ საღამოს (ცვლიან) განყოფილებებზე:**

სასწავლებლის დირექტორი—მიმღები კომისიის თავმჯდომარე.

იმ საწარმოთა, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის. ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელთა მუშაკებს ღებულობენ სასწავლებელში კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

მიმღები კომისიის შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს სასწავლებლის დირექტორი.

5. თითოეული პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, მიღების პერიოდში აცხადებს თუ რომელ პროფესიებზე და სპეციალობებზე აწარმოებს ახალგაზრდების მიღებას; სწავლების ვადებს, ყველა პროფესიასა და სპეციალობაზე მიღების პირობებს. სქესსა და ასაკს. აგრეთვე მოსწავლეთა მატერიალური უზრუნველყოფის პირობებსა და შეღავათებს.

### ჩარიცხვის წესი

6. დღის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში მიღების შესახებ განცხადებას, ყველა თანდართული საბუთითა და სამედიცინო კომისიის დასკვნით, განიხილავს სასწავლებლის მიმღები კომისია.

მიმღები კომისია ყველა განმცხადებელთან ატარებს საუბარს არჩეული პროფესიის, სასწავ-

ლებელში სწავლებისა და საწარმოში მუშაობის პირობების შესახებ.

7. სასწავლებელში ახალგაზრდების მიღება წარმოებს საკონკურსო შერჩევით. განათლების მოწმობაში ნაჩვენები ნიშნების მიხედვით.

მოსწავლეთა მიღების დროს. იმ პროფესიებში მოსამზადებლად, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამა თუ იმ საგნის მყარ ცოდნას მოითხოვს, პროფტექნიკური განათლების ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებით ტარდება გასაუბრება.

მაგალითად სამხატვრო სასწავლებელში იმ პროფესიებსა და სპეციალობებზე, რომლებსაც სამხატვრო განხრა აქვთ, ტარდება გამოცდები ხატვაში, ხოლო პოლიგრაფიულ სასწავლებელში — რუსულ ან მშობლიურ ენაში.

დღის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭებათ ობლებს, საბავშვო სახლების აღზრდილებს, I და II ჯგუფის ინვალიდთა შვილებს, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულებს, აგრეთვე იმ ახალგაზრდებს, რომელთაც სასწავლებ-

ლად აგზავნის საწარმო. მშენებლობა, საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა.

8. მიმღები კომისიის გადაწყვეტილება სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ უნდა გაფორმდეს მიმღები კომისიის ოქმით და სასწავლებლის დირექტორის ბრძანებით.

ჩარიცხულთა სია უნდა იქნეს გამოკრული სწავლის დაწყებამდე 7 დღით ადრე. შორეულ რაიონებში მცხოვრებთ სასწავლო წლის დაწყებამდე ეგზავნებათ წერილობითი შეტყობინება სასწავლებელში ჩარიცხვის ან უარის თქმის შესახებ, რომელსაც ხელს აწერს სასწავლებლის დირექტორი.

9. ის პირები, რომლებიც ჩარიცხულნი არიან პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში და 10 დღის განმავლობაში არასაპატიო მიზეზის გამო არ ესწრებიან მეცადინეობას, დირექტორის ბრძანებით გარიცხულნი იქნებიან სასწავლებლიდან.

10. იმ პირებს, რომლებსაც შეტანილი აქვთ განცხადება მიღების შესახებ, მაგრამ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში ჩარიცხვაზე უარი ეთქვათ, საბუთები უბრუნდებათ მიმღები კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს ხუთი დღისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ახალგაზრდების მიღების საკითხთან დაკავშირებით საჩივრებს განიხილავს ორი კვირის განმავლობაში პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი.

### სწავლების პირობები

11. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლება უფასოა. გარდა ამისა, ქალაქის დღის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლების მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იქნებიან კვებით, ტანსაცმლით და სპეცტანსაცმლით, ხოლო სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში კვებით, ტანსაცმლით, სპეცტანსაცმლითა და სტიპენდიით. სხვა რაიონებიდან ჩამოსული მოსწავლეები, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილნი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

12. სწავლების პერიოდში დღის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებს, დადგენილი წესით, ეძლევათ ფულადი ანაზღაურება იმ სამუშაოებისათვის, რომლებსაც ისინი ასრულებენ საწარმოო სწავლების პროცესში სასწავლებლის სასწავლო სახელოსნოსა და საწარმოში.

13. ის პირები, რომლებიც წარმოებიდან მოუ-წყვეტლივ წარმატებით სწავლობენ საღამოს (ცვლიან) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში და დღის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან საღამოს (ცვლიან) განყოფილებებზე (ჯგუფებში), გამოცდებისათვის მომზადებისა და ჩაბარების პერიოდში სამუშაოდან თავისუფლდებიან 26 სამუშაო დღით ძირითად სამუშაო ადგილზე, საშუალო ხელფასის 50%-ის შენარჩუნებით.

14. საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი მიიღებიან სწავლების შემოკლებული ვადით და სწავლების პერიოდში მიეცმათ სტიპენდია:

ქალაქის პროფტექნიკურ სასწავლებლებში I თანრიგის მუშის სატარიფო განაკვეთის მინიმალური ხელფასი, სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგის მუშაკებისათვის დადგენილი ოდენობით (მოსწავლეთათვის მატერიალური უზრუნველყოფის დადგენილი პირობების ნაცვლად).

სოფლის პროფტექნიკურ სასწავლებლებში— სოფლის მეურნეობის მექანიზატორის პროფესიებზე II თანრიგის ტრაქტორისტ-მემანქანის პერიოდული სატარიფო განაკვეთის ოდენობით (უფასო

კვების, სპეცტანსაცმლის, სტიპენდიის ნაცვლად).
ასეთივე გადიდებულ სტიპენდიას ღებულობენ შემოკლებული სწავლების პერიოდში საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები (კომპლექტდება ცალკე ჯგუფებად), რომლებსაც საშუალო სკოლაში გავლილი აქვთ ავტოსაქმის, ტრაქტორების, კომბაინების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე მუშაობის სასწავლო კურსი.

15. დღის პროფტექნიკურ სასწავლებლებში სწავლების დრო ჩაითვლება უწყვეტ შრომის სტაჟად.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულებს გამოსაშვები გამოცდების ჩაბარების შემდეგ ენიჭებათ საწარმოო კვალიფიკაცია და ეძლევათ შესაბამისი ატესტატი.

ყველა მოსწავლე დღის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უზრუნველყოფილი იქნება მიღებული სპეციალობის მიხედვით სამუშაოთი საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში და სხვა ორგანიზაციებში პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოების მიმართვის საფუძველზე.

ის პირები, რომლებიც „ფრიადზე“ დაამთავრებენ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს, ძიღებიან საშუალო სპეციალური განათლების სასწავლებლებში წარმოებიდან მოწყვეტით, ხოლო ვისაც სრული საშუალო განათლება აქვს—უმაღლეს სასწავლებელში საერთო წესის საფუძველზე. სავალდებულო სტაჟის გარეშე.

## ტყიბულის № 19 ქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: კალატოზებს; მღებავებს; დანადგარების შემკეთებელ მორიგე ელექტროზეინკლებს; მეთუნეებს; დამმაგრებლებს.

სასწავლებელში მიიღებიან 8 კლასის და საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1-2 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ ენაზე.

სასწავლებელს აქვს საერთო საცხოვრებელი.

მისამართი: ქ. ტყიბული, ოქტომბრის ქ. № 42

ტელეფონი: 26-93; 26-41.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭიათურის № 20 ქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: კალატოზებს; შემღებველებს; ელმავლის მემანქანეებს; მტვირთავ მანქანების მემანქანეებს; გვირაბგამყვანებს; ელექტრო დანადგარების შეკეთების მორიგე-ელექტროზეინკლებს; შემღებველ-მომპირკეთებელ-მეფილეებს; ზეინკალ-სანტექნიკოსებს.

სასწავლებელში მიიღებიან 8 კლასისა და საშუალო განთლებს მქონე ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1-2 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ ენაზე.

სასწავლებელს აქვს საერთო საცხოვრებელი.

მისამართი: ქ. ჭიათურა, გაგარინის ქ. № 2.

ტელეფონი: 36-26; 32-27.

## ზ. მ. რუხაძის სახელობის თბილისის № 86 ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ფილიალი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: **მქსოველებს (რთული ასორტიმენტის ქსოვილის).**

ფილიალში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

მისამართი: ქ. თბილისი, ლენინის ქ. № 59.

ტელეფონი: 93-90-67.

## ქუთაისის № 37 ქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: რთული ასორტიმენტის ქსოვილების მქსოველებს; მარტივი ასორტიმენტის ქსოვილების მქსოველებს; ქსოვილის ხარისხის კონტროლიორებს.

სასწავლებელში მიიღებიან 8 კლასის და საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1-2 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ ენაზე.

სასწავლებელს აქვს საერთო საცხოვრებელი.

მისამართი: ქ. ქუთაისი, კიროვის ქ. № 93 ა.

ტელეფონი: 5-35-03

## გარდაბანის № 47 ქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: მეარმატურე-ელექტროაირშემდუღებლებს; საერთო. სამონტაჟო სამუშაოების მოწყობილობათა ზეინკალ-მემონტაჟეებს; განათების, განათებისა და ძალოვანი ქსელის და ელექტრო მოწყობილობათა ელექტრომემონტაჟეებს; ფოლადისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების მემონტაჟეებს; ხელით შედუღების ელექტროაირშემდუღებლებს.

სასწავლებელში მიიღებიან 8 კლასის და საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1-2 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე.

სასწავლებელს აქვს საერთო საცხოვრებელი.

მისამართი: დ. გარდაბანი, ელსადგურის დასახლება.

ტელეფონი: კომუტატორი 93-89-10 დამ. 2-75; კომუტატორი 95-14-01 დამ. 23-96.

## ხუმუშკურის № 50 სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: მესამე კლასის ტრაქტორისტ-მემანქანეებს; მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორებს ელ. მონტიორის კვალიფიკაციით; ტრაქტორების, ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ზეინკალ-შემკეთებლებს; სოფლის ელექტროფიკაციისა და კავშირგაბმულობის ელექტრომონტიორრებს; მე-2 კლასის მეცხოველეობის ოსტატებს; შემლესველ - მომპირკეთებელ - მეფილეებს.

სასწავლებელში მიიღებიან 8 კლასის და საშუალო განათლების მქონე ახალგაზდრები.

სწავლების ვადა 1 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

სასწავლებელს აქვს საერთო საცხოვრებელი.

მისამართი: ქ. გალი, ხუმუშკურის საბჭოთა მეურნეობა.

ტელეფონი: 5-28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისის № 71 ქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: **დურგლებს; ხუროებს; ავტომატური და ნახევრადავტომატური დანადგარების ოპერატორებს; ავეჯის მომპირკეთებლებს; ხის დამამუშავებელი წარმოების მედაზგეებს.**

სასწავლებელში მიიღებიან 8 კლასის და საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1-2 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

სასწავლებელს აქვს საერთო საცხოვრებელი.

მისამართი: ქ. თბილისი, მარჯლისის ქ. № 12.

ტელეფონი: 71-94-43; 71-94-01; 71-94-35.

## წითელწყაროს № 72 სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: მესამე კლასის ტრაქტორისტ-მემანქანეებს; მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორებს ელექტრომონტიორის კვალიფიკაციით; რძის პირველადი დამუშავების ოპერატორებს; ავტომობილის მძღოლებს ზეინკლის კვალიფიკაციით; სოფლის ელექტროფიკაციის ელექტრომონტიორებს; ბულდოზერის, გრეიდერისა და სკრეპერის მემანქანეებს; საწვიმარი და სარწყავი მანქანების მემანქანეებს ზეინკლის კვალიფიკაციით.

სასწავლებელში მიიღებიან 8 კლასის და საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

სასწავლებელს აქვს საერთო საცხოვრებელი.

მისამართი: დ. წითელწყარო.

ტელეფონი: 9-15-98; 9-15-90; 9-15-87.

## თიანეთის № 73 სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: ტრაქტორების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ზეინკალ-შემკეთებლებს; მეცხოველეობის მეორე კლასის ოსტატებს; ფართო პროფილის ტრაქტორისტ-მემანქანეებს; სოფლის მშენებლობის ოსტატებს.

სასწავლებელში მიიღებიან 8 კლასის და საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1-2 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ ენაზე.

მისამართი: დ. თიანეთი, რუსთაველის ქ. № 19.

ტელეფონი: 1-12.

## ინგირის № 77 სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: **მესამე კლასის ტრაქტორისტ-მემანქანეებს; სოფლის ელექტროფიკაციის ელექტრომონტიორებს; ტრაქტორების, ავტომობილების, და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემკეთებელ ზეინკლებს; ფართო პროფილის ტრაქტორისტ-მემანქანეებს; მეჩაიე-ოსტატებს; მეცხოველეობის მე-2 კლასის ოსტატებს.**

სასწავლებელში მიიღებიან 8 კლასის და საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები.

სწავლების ვადა **1-2** წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ ენაზე.

სასწავლებელს აქვს საერთო საცხოვრებელი.

მისამართი: ქ. ზუგდიდი, ინგირის საბჭოთა მეურნეობა.

## ახალქალაქის № 82 სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: მეცხოველეობის ფერმის მექანიზატორებს ელექტრომონტიორის კვალიფიკაციით; მეცხოველეობის (მეფრინველეობის) მეორე კლასის ოსტატებს; მებოსტნეებს. სოფლის ელექტროფიკაციისა და კავშირგაბმულობის ელექტრომონტიორებს; ტრაქტორების, ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემკეთებელ-ზეინკლებს; მეფრინველე-ოპერატორებს.

სასწავლებელში მიიღებიან 8 კლასის და საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 1-2 წელია.

სწავლა წარმოებს ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე.

მისამართი: ქ. ახალქალაქი, მახარაძის ქ. № 46.

ტელეფონი; 24-25.

## თბილისის საღამოს (ცვლიანი) ქალაქის პროფტექნიკური სასწავლებელი № 100.

ამზადებს შემდეგი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: შემლესველებს; კალატოზებს; კონსტრუქციის კალატოზ-მემონტაჟეებს; ხუროებს; მეარმატურე ელ. შემდუღებლებს; საავტომობილო ამწის მემანქანეებს; მღებავებს.

სასწავლებელში მიიღებიან წარმოებაში მომუშავე 8 კლასის და საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები.

სწავლების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა წარმოებიდან მოუწყვეტლივ.

სწავლა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

სასწავლებელს აქვს საერთო საცხოვრებელი.

მისამართი: ქ.თბილისი, ბუდაპეშტის ქ. № 1.

ტელეფონი: 37-12-33.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# СПРАВОЧНИК

Для поступающих в профессионально-технические и технические училища Грузинской ССР

на 1977-78 учебный год.

Тбилиси-1977

(ქართულ ენაზე)

შეკ. 289 უე. 08338 ტ. 5000

თბილისის № 34 ქალაქის ტექნიკური სასწავლებლის სტამბა:
კამოს ქ. № 68.

Типография Тбилисского городского технического
училища № 34, ул. Камо № 68

/22

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

K 8.069/1